დანართი №2

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე**: ქეთევან ბოტკოველი (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) **წევრი:** ზაზა პაპიძე- დარგის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192,

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2025 წლის 23 დეკემბრის MES 7 25 0001825207 ბრძანების** საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ **-"ელექტროობა"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განახორციელება ა(ა)იპ კოლეჯში"განთიადი" **2026 წლის 22 იანვარს** (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2).

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება.

შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

არგუმენტირებული პოზიციით, დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N89 24.10.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. გორი, ბესიკის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	72
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

წარმოდგენილი დასაბუთებების ანალიზი აჩვენებს, რომ ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარების პრიორიტეტებს, რაც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების განხორციელებას და პროგრამათა სპექტრის გაფართოებას და პასუხობს შრომის ბაზრის არსებულ და პროგნოზირებად მოთხოვნებს. შიდა ქართლის რეგიონში ფიქსირდება ელექტრიკოსების მიმართ მზარდი საჭიროება, რაც უკავშირდება ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, მშენებლობის სექტორის გააქტიურებასა და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის მიმართულებით მიმდინარე პროცესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევების ანალიზი ადასტურებს, რომ ტექნიკური პროფილის კვალიფიციური კადრები, მათ შორის ელექტრიკოსები, დეფიციტურ ჯგუფს მიეკუთვნება, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე. დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი და დასაქმების პლატფორმების მონიტორინგის შედეგები მიუთითებს მოთხოვნად პრაქტიკულ უნარებზე, უსაფრთხოების სტანდარტების ცოდნასა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის კომპეტენციებზე, რომელთა განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამა.

კოლეჯის მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს პროგრამის ეფექტიანობასა და მის პრაქტიკულ ორიენტაციას. აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ პროგრამა არის მიზნობრივი, აქტუალური და ორიენტირებული რეგიონული და ეროვნული ეკონომიკური განვითარების საჭიროებებზე.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ დასაბუთებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მისი განხორციელება დაწესებულებაში მიზანშეწონილი და არგუმენტირებულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ ჩარიცხვის წინაპირობა არის საბაზო განათლება, ხოლო პირობები და პროცედურები განსაზღვრულია მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესებისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესით და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი წარდგენის ფორმა და ვადები. ჩარიცხვის პროცესი მოიცავს აპლიკანტთა შერჩევის ეტაპს, რაც უზრუნველყოფს პროცედურის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა პროგრამა „ელექტროობა“ სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა (**72** პროფესიული სტუდენტი). ზღვრული ადგილების დადგენის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები, სასწავლო სივრცეების შესაძლებლობები და შესაბამისი პარტნიორი კომპანიის შესაძლებლობები და სხვ. კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური ადამიანური რესურსი და შესაბამისი სასწავლო მასალები, რაც ქმნის აუცილებელ პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. სასწავლო რესურსების შერჩევა განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მიერ და ეფუძნება მოდულების შინაარსს, სწავლების მიზნებსა და თემატურ მიმართულებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

დაწესებულების წესდებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება ეკუთვნის კოლეჯის დირექტორს. აღნიშნული წესის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის N89 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია პროფესიული სტანდარტის „ელექტროობა“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დაგეგმილია და ფორმირებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის შინაარსი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ელემენტს, რომელიც აუცილებელია მისი სრულფასოვანი და ეფექტიანი განხორციელებისთვის. მათ შორის განსაზღვრულია პროგრამის მიზნობრივი ორიენტირი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების პირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, აგრეთვე სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურები.

პროგრამაში ინტეგრირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების სწავლების მხარდამჭერი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობასა და თანასწორ ხელმისაწვდომობას.

პროგრამის დოკუმენტური პაკეტი აერთიანებს ძირითად პროგრამულ დოკუმენტს, პროფესიულ მოდულებსა და სასწავლო გეგმას, რომლებიც ერთმანეთთან შინაარსობრივად კოორდინირებულია და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრობას. მოდულების ფარგლებში გათვალისწინებულია ქართული ენის (A2 დონე) სწავლებაც, ხოლო პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ქმნის საფუძველს პრაქტიკული კომპონენტის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი.
- პროგრამის პაკეტი;
- აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი ბრძ.N51 23.08.2021 (ცვლ.N90, 24.10. 2025);
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის წესდება.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი ბრძ.N51 23.08.2021 (ცვლ.N90, 24.10. 2025)
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები.

შეფასება:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

კოლეჯში „განთიადი“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული ფორმით. კოლეჯის სასწავლო სივრცეებში უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობას და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია პსდ-ის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელთა ფართობი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს. გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა: საკმარისი რაოდენობით საკლასო სამუშაო ადგილი, კომპიუტერები, პროექტორი, ქსელური პრინტერი. სასწავლო ლაბორატორია აკმაყოფილებს საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის მოთხოვნას ხელსაწყოთა ოდენობასთან დაკავშირებით.. სივრცეების ელექტრომომარაგება ხდება 220ვ- 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით.

კოლეჯი „განთიადი“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს როგორც კოლეჯის სასწავლო სივრცეებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ასევე მასთან თანამშრომლობაში მყოფი პარტნიორი ორგანიზაციის რესურსით. კოლეჯს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული „ენერგო-პრო“-სთან. აღნიშნული ორგანიზაცია მზადაა მიიღოს სტუდენტები და განავითაროს მათი პრაქტიკული უნარები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. კოლეჯ „განთიადის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვნად განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ განხორციელდება პროფესიული განათლების 16 მასწავლებლის მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. მოდულების უმრავლესობაზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ამცირებს სასწავლო პროცესის რისკებს და ქმნის პროგრამის უწყვეტობისა და მდგრადობის გარანტიას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების განათლება, კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მათ გააჩნიათ როგორც შესაბამისი დარგობრივი ცოდნა, ისე სწავლების პროცესისთვის აუცილებელი პედაგოგიური კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიან განხორციელებას.

მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა დაგეგმილია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნების გათვალისწინებით - კვირეული სამუშაო დრო არ აღემატება 40 საათს, ხოლო საათების განაწილება არის გონივრული და დაბალანსებული, რაც გამორიცხავს როგორც გადატვირთვის, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები დეტალურად განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, მათ შორის: საკონტაქტო საათების ჩატარებას, სასწავლო პროცესისთვის მომზადებას, კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, ასევე პროფესიული სტუდენტების შეფასებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა არის ოპტიმალური და რეალისტური, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა(ა)იპ კოლეჯში „განთიადი“ პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას გათვალისწინებულია მასწავლებლის სამსახურეობრივი ფუნქცია-მოვალეობები და მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციის არსებობა. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია: განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერთიფიკატები, ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა" დასაქმებული არიან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლები პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია და პედაგოგიური უნარები. ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს ასევე აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული, პროგრამების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის ტრენინგები, აგრეთვე კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები. ეცნობიან სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება. პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების კანონთან შესაბამისობა რეგულირდება შიდა ნორმატიული დოკუმენტით.

მასწავლელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, სამუშაო დატვირთვის ოპტიმალური განაწილება მოწმობს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ პროგრამა „ელექტროობის" განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებელობები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობას " ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი უმაღლესი განათლებით, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის, აგრეთვე პროფესიულ განათლებაში საქმიანობის დიდი გამოცდილება. არის პროგრამის ორი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებელობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქციებსა და მოვალეობებს, იღებს მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში, განვითარებაში, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში „განთიადი“ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა არსებობს როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონულად. კოლეჯის ბიბლიოთეკას აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული წიგნები და ელექტრონული მართვის სისტემა. ბიბლიოთეკაში არის ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია მოდულებში. საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება სტუდენტს შეუძლია მისთვის ხელსაყრელ დროს. წიგნები იძებნება კატალოგებით. ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსები არის თავისუფალი წვდომის რეჟიმში. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასე პროფესიული მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის ინდივიდუალურ, საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სსსმ/შშმ პირების სწავლების დროს შესაძლებელია მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რესურსების ცვლილებაც. ამ პროცესში სწავლების შედეგები შეიძლება შეიცვალოს შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც პირდაპირ უკავშირდება კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. ცვლილებების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს ან მისი კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება შესაბამისი ინფორმაცია და გაიცემა შესაბამისი ცნობა.

ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ დეტალურად გაწერილია პროფესიული განათლების ინკლუზიური ხელშეწყობის მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ ან შშმ პირების მხარდაჭერისთვის, დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირის ჩართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდგომ კოლეჯი აწარმოებს შესაბამისი შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო და რეალურ კალკულაციას, რაც საშუალებას აძლევს დაეგეგმოს ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადი განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ სრულფასოვანი განხორციელებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 7 პროფესიული სტუდენტით.

პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავლებსა და ხარჯებს. შემოსავლების ძირითადი წყაროებია სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების ღირებულებას და ადმინისტრირების ხარჯებს (ხელფასები, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა საოპერაციო ხარჯები).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტრენინგებზე დასწრების ფურცლები და შესაბამისი სერტიფიკატები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ პაკეტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებისთვის შექმნილი აქვს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში (თავი 3 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება შეფასება და განვითარება). ის უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარეობის სისტემატურ შემოწმებას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესებას.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – გადახედე/გააუმჯობესე". სისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს და ითვალისწინებს უკუკავშირს კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებიდან. მიღებული მონაცემების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევითი ინსტრუმენტები, მათ შორის: პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების კითხვარები. ასევე, გათვალისწინებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები და საჭირო ცვლილებები ასახულია მოდულების კალენდარულ გეგმებში.

პროგრამის განვითარებისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვანი მონაცემებია: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რეგისტრაციისა და ჩარიცხვის სტატისტიკა, კვალიფიკაციის მინიჭება, სტუდენტთა სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა, მობილობის ანალიზი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.3.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება დემინგის ციკლს – „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გადახედე/გაუმჯობესე". კოლეჯში ეს პროცესი სისტემატურად უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სტუდენტთა მიღწევებთან.

პროგრამების განხორციელების მონიტორინგი ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად. მონიტორინგის ფარგლებში კოლეჯი აფასებს პროგრამის ხარისხს სხვადასხვა წყაროს მონაცემების საფუძველზე - კურსდამთავრებულების და პროფესიული სტუდენტების უკუკავშირი, დამსაქმებლებისა და პარტნიორების მოსაზრებები, პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასებები, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები.

შესაბამისად, კოლეჯი საჭიროების მიხედვით ახორციელებს ცვლილებებს პროგრამაში ან მოდულებში. ეს შეიძლება შეეხოს შეფასებისთვის გამოყოფილ საათებს, თემატიკას, სასწავლო რესურსებს ან სწავლების მეთოდებს. ცვლილებების განხორციელება ხდება პროგრამის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, თითოეული ცვლილება რეგისტრირდება შესაბამის ადმინისტრაციულ პროცედურებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფთან გამართულ გასაუბრებებში დადასტურდა, რომ კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამების განხორციელების ხარისხს და საჭიროების შემთხვევაში დროულად განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამების მაღალკვალიფიციურ და მდგრად შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.3.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კოლეჯის ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- კოლეჯის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- კითხვარების ანალიზი და ანგარიშები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ 2025 წლის 24 ოქტომბრის N89 ბრძანებით, მოიცავს მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრულ და ორგანიზებულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში დაცულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის ოპტიმალური კვირეული დატვირთვა. რომელიც არ აღემატება 40 საათსმოდულების დაგეგმვა სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით და მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროფესიულ მოდულებს. იგი სტრუქტურირებულია სასწავლო კვირების მიხედვით და განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს, მათ შორის: მოდულებს, სწავლების ფორმებს, კრედიტების რაოდენობას, საათების განაწილებას დატვირთვის სახეების მიხედვით და სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებს. ასევე, განსაზღვრულია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დრო, შედეგების განმეორებით დადასტურების შუალედები და ზოგადი მოდულებიდან პროფესიულ მოდულებზე ეტაპობრივი გადასვლის პერიოდი.

პროგრამის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კალენდარულ გეგმებში ასახული უკუკავშირის გათვალისწინებით, სასწავლო გეგმა პერიოდულად გადაიხედება. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ცვლილებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, მათ შორის პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირი სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი მიმდინარეობის გაუმჯობესების მიზნით. მეცადინეობების განრიგი მაქსიმალურად მორგებულია სტუდენტთა საჭიროებებს. პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, განკუთვნილი მატერიალური და ადამიანური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ფარგლებში, კოლეჯს აქვს დამტკიცებული სასწავლო გეგმა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა ეძლევათ.

სტუდენტებისთვის რეგულარულად შედგება კონსულტაციების გრაფიკი, რაც საშუალებას აძლევს მათ დეტალურად გაირკვიონ სასწავლო პროცესის საკითხები. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონიდან მოსულ სტუდენტებს, რათა მათი ტრანსპორტით გადაადგილება პრობლემებს არ შეუქმნას და სწავლა შეუფერხებლად განხორციელდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. კოლეჯ „განთიადში“ პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უახლესი სასწავლო მიდგომებისა და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები.

პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო გარემოს მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შესაბამის ინფრასტრუქტურაში, მათ შორის: ელექტროსამონტაჟო სახელოსნოში, მაღალი ძაბვის ლაბორატორიასა და ელექტროტექნიკის ლაბორატორიაში.

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კოლეჯი აღჭურვილია ონლაინ კონფერენციების ჩასატარებლად საჭირო ტექნიკური საშუალებებით. პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოსა და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლების მიერ ტარდება ტრენინგები, ვორქშოპები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობებითა და სერტიფიკატებით. დამატებით, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და პროფესიული კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯ „განთიადს“ აქვს მზაობა და მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში, აგრეთვე იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება. კოლეჯი ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სწავლება არსებული სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება. ასეთი შემთხვევებია: სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა, სტუდენტის ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობა.

აღწერილ შემთხვევებში კოლეჯი ხელმძღვანელობს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესით”. სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტების შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს. მოცემულ შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

კოლეჯ „განთიადში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება როგორც სასწავლო გარემოში: ელექტროსამონტაჟო სახელოსნო, მაღალი ძაბვის ლაბორატორია, ელექტროტექნიკის ლაბორატორია, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ საწარმოში.

პროგრამა „ელექტროობა" ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით: მოდულის "ელექტრული ტექნოლოგია" მეხუთე სწავლის შედეგი ხორციელდება პარტნიორი კომპანიის ბაზაზე, რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „ენერგო-პროსთან".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში „განთიადი" სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წესი: „სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქცია". პროფესიული მოდულების მასწავლებლები თითოეული პრაქტიკული თემის წინ სტუდენტებს აცნობენ უსაფრთხოების წესებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის" სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს C გარემოში, რომელიც მოიცავს ელექტროსამონტაჟო სახელოსნოს; მაღალი ძაბვის ლაბორატორიას. ელექტროტექნიკის ლაბორატორიას. სახელოსნოსა და ლაბორატორიებში ელექტროდანადგარებთან პრაქტიკული სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ინსტრუქციები გაწერილია შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. პრაქტიკულ სივრცეებში არის პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. C გარემოში არის დამიწების კონტური. მისი ვარგისიანობა დამოწმებულია შესაბამისი დოკუმენტით. ამავე გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები. პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა";
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- შრომის უსაფრთხოების წესი
- სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;
- სახელოსნოში უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა განისაზღვრება ვალიდურობით, სანდოობით, გამჭვირვალობით, სამართლიანობითა და ობიექტურობით, რაც რეგლამენტირებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. სისტემა დეტალურად განსაზღვრავს შეფასების პროცესს, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმებს შეფასების შედეგების შესახებ, აპელაციის წესს და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები და ვერიფიკაციის პროცესის შესახებ არსებული დოკუმენტაცია. ხარისხის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტით დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად რეაგირებს არსებულ გადაცდომებზე და საჭიროების შემთხვევაში ატარებს შესაბამის ღონისძიებებს შიდა ტრენინგების სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასება ეფუძნება შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების, განხორციელებული შეფასებებისა და დაკავშირებული მტკიცებულებების კონტროლს, რათა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროცედურების მიხედვით, ბოლო ცვლილებით განახლებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ წესების საფუძველზე. პროცესი ითვალისწინებს როგორც შეფასების ინსტრუმენტების, ისე შეფასების პროცესის დეტალურ გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაწერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის ორგანიზებას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც თანამშრომლობს შიდა ვერიფიკატორების ჯგუფთან. ჯგუფში შედიან განათლებისა და დარგის სპეციალისტები. დარგის ვერიფიკატორი შეიძლება იყოს პროგრამის სხვა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ჩართული იმ ინსტრუმენტების შემუშავებაში, რომლებსაც თავად აფასებს.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ვერიფიკაციის წლიური გეგმები, დასრულებული ვერიფიკაციის პაკეტები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიც ადასტურებს განხორციელებულ ცვლილებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

კოლეჯს აქვს შემუშავებული სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში გამოყენებული ყველა დოკუმენტისა და მტკიცებულების სათანადო აღრიცხვას და უსაფრთხო შენახვას. შეფასების განხორციელებისას ყველა საჭირო დოკუმენტი და ინსტრუმენტი რეგისტრირდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ. სწავლის დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც იგი 3 წლის განმავლობაშია დაცული.

დოკუმენტაციის შენახვის ვადის ამოწურვის შემდეგ ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა მონაცემი და მტკიცებულება იყოს სწორად დაფიქსირებული და დაცული, ხოლო კოლეჯი სრულად იცავს როგორც კანონის, ისე შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, ხოლო მასწავლებლები სისტემატურად იკვლევენ შედეგებს, გასცემენ რეკომენდაციებს და ხელს უწყობენ სტუდენტთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. უკუკავშირის მექანიზმის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებთან აქტიურად ხორციელდება კონსულტაციები, რომლებიც რეგისტრირდება მოდულის სტატისტიკურ დოკუმენტაციაში. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის. არსებული პრაქტიკა გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.4.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- გასაუბრების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან.
- მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი
- სტუდენტთა კითხვარები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

06.02.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: